

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
ა(ა)იპ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას შორის

ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

10-08-2015წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (შემდგომში „დაწესებულება“) წარმოდგენილი დირექტორის, ნანა ბერიძის სახით, შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას და არსებული პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას ახალგაზრდა თაობების განათლების სფეროში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს შემდეგზე:

1. მხარეებმა განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა პროფესიული პროგრამის სტუდენტების ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების მიზნით და ასევე, ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ სკოლამდელი სექტორის განვითარებას, რისთვისაც უნივერსიტეტის „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“-ს V საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებულ ბაგა-ბაღებში და ასევე, სკოლამდელი სექტორის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი შესაბამისი ტრენინგ-მოდულის ფარგლებში უზრუნველყოფს ბაგა-ბაღების აღმზრდელ პედაგოგთა მოამზადებას/გადამზადებას.



2. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

3. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.
5. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.
6. ისეთი საკითხები, რომლებიც არ არის წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული და დარეგულირებული და წარმოიშობა თანამშრომლობის პროცესში, გადაწყდება მხარეთა უფლებამოსილებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რექტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე

 ბ. ა.


ა(ა)იპ ახალციხის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულება

დირექტორი

ნანა ბერიძე

